კვირა, 1918 წ. აგვისტოს 25 № 156
წლიწადი მეორე

კვირა, 1918 წ. აგვისტოს 25 № 156
ფასი 40 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ქვეყანა

რედაქცია.

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

**რედაქცია ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

კანტორა.

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებისა 1 საათამდე 10 მ., 1 საათს შემდეგ 13 მან.

**კანტორა ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. **ფოსტის ადრესი:** Кутаисъ, поч, ящикъ № 39. **ტელეფონი № 76.**

კვირას, 25 აგვისტოს, ქ. ხონში
**კ. კაპანელი-ჭანტურაია**
წაიკითხავს საჯარო ლექციას
შემდეგ თემაზე:
„სოციალიზმი და ეროვნულ-დემოკრატია“
ლექციის შემდეგ
გაიმართება კამათი.
ლექციის დასაწყისი დღის 11 საათზე.

**კბილის ექიმები**
**მ. ი. ახვლედიანი** და
**ო. დ. პროშლიაკოვა**
ღებულობენ ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 ს.—2 ს და საღამოს 5 ს.—7 ს.
მისამართი: ქარვასლის ქ. მურადოვის სახლი, კლ. გიმნაზიის პირდაპირ. თვ. 31

ექიმი
**ზ. ა. ეზიკაშვილი**
მიიღებს შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 6 დან 8-დე. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი (კომერციულ სასწავლებლის პირდაპირ). თ.

**იყიდება** სამხატვრო ყუთი ნიგვზის ხისაგან გაკეთებული. საღებავები, კისტები და სხვა სამხატვრო მოწყობილობები. იკითხეთ „ჩვ. ქვეყნის“ რედაქციაში.

**Продается** ящик для художника из орѣховаго дерева. краски, кисти и различныя художественныя принадлежности, справляться в редакцію газеты „Чвени Квекана“.

**იყიდება** ორი რკინის საწოლი, შირმა, შკაფი, კედლის საათი და სხვანი. იკითხეთ ლოლობერიძის ბინა, ორპირის ქუჩაზე. გ—ბ

**Германскіе офицера**
ищутъ хорошо меблированные комнаты за хорошее вознагражденіе. Предложенія, какъ можно скорѣе адресовать, или лично переговорить въ канцеляріи 9-го Эгерскаго баталіона, гостинница „Палласъ-Отель“, бывшая контора „Проводника“.

**გერმანელი ოფიცრები**
ეძებენ კარგად მოწყობილ ოთახებს. **მპოვნელს მიეცემა კარგი ჯილდო.** მოლაპარაკება პირადათ ან-და წერილობით შეიძლება მე-9-ე ეგერის ბატალიონის (რომელიც იმყოფება სასტუმრო „პალასში“, ყოფილ პროვოდნიკის კანტორაში) კანცელარიაში. 1—1

**იყიდება** ერთი ცხენი ქართველ ცხენოსანთა მეორე პოლკისა, წითელი ფერისა, 7 წლისა. პირობების გაგება შეიძლება პოლკის შტაბში ყოველ დღე დილის 10 საათიდან დღის 2 საათამდე, ყოფილ ხაპიძის პოლკის სადგომში. 3—1

## ქუთაისი 25 აგვისტო.

**მოვალეობა და აპეტიტი.** საქართველოს მთავრობის სისუსტე თანდათან აშკარავდება: პოლიტიკურ შორსმჭვრეტელობა რომ საქართველოს მთავრობას აკლია ეს ჩვენ დიდი ხანია ვიცით.

სულ სხვაა დღევანდელი ჩვენი მოთხოვნილება: ჩვენში დიდ ნიჭის და აზრის დიპლომატები რომ არ არიან ცხადია:

ქართველი ერი ამას შეურიგდება, მაგრამ როდესაც მთავრობა უძლურია მოაწყოს სახელმწიფოს შინაური საქმეები ისე წესიერად, რომ უზრუნველყოს მოქალაქის უფლებები და ცხოვრების გარანტია,— მაშინ ცხადია მთავრობა ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, ვერ აკეთებს იმას, რასაც უნდა აკეთებდეს და უნდა გადადგეს ანუ თხოვოს ვინმეს დახმარება.

საქართველოს მთავრობა ჯიუტობს: თვითონ თავის მოვალეობას ვერ ასრულებს და ვისაც საქმის გაკეთება შეუძლია და ვისაც სალი გონება აქვს, იმის სიტყვა არ ჯერა: არც თვითონ აკეთებს, არც სხვისი გაკეთებული უნდა.

არის ისე უმოქმედოთ, ჯამაგირებს ღებულობს, ფული იხარჯება, სახელმწიფო ნომინალურად არსებობს, მაგრამ ფაქტიურად არავინ არაფერს არ აკეთებს. უწესრიგობა ბოლშევიზმის სახელით სახელმწიფოში იზრდება, სახელმწიფო ილუპება, პროვინციებში ყაჩაღები დათარეშობენ. ზუგდიდში მაგალითად და ზუგდიდის გარშემო მცხოვრებლები დღე და ღამეს თხრილებში (აკოპებში) ატარებენ, მუშაობა არ არის, სიძვირეა საშინელი: გირვანქა სიმინდის ფქვილი 15—20 მან. ფასობს. ამაზე უფრო საშინელი მდგომარეობა განა შეიძლება?—

ჩვენებური კომისრები და მინისტრები დასეირნობენ ავტომობილებით, ღებულობენ ჯამაგირებს, ქანაობენ სავარძლებში, ხალხი კი ილუპება, ყაჩაღობა თანდათან მატულობს.

არც ძველ რომში ყოფილა ის, რაც, დღეს საქართველოშია. სახელმწიფოს თავის დროზე მოვლა უნდა, თუ არა ისეთი ტრაგედია დატრიალდება, რომ ვერავითარი გვარდია ვერ უშველის.

ჩვენ ყოველდღე ვასრულებთ ჩვენ მოვალეობას და ვეუბნებით მთავრობას გამოიჩინოს ენერგია, მიიღოს ზომები და სხვა... მაგრამ მთავრობა იქცევა როგორც კრილოვის კატა:

Слушаетъ да ѣстъ — ისმენს და ჭამს...

## საქართველო და ქართველი ინტელიგენტი.

ისტორია დინჯია და ულმობელი: მართალია მას უყვარს ხშირად თამაში და ქარიშხალი; მაგრამ ყოველივე ძალთა თამაშს და ქარიშხალს ისტორიაში აქვს მოსამზადებელი, პრეპარატიული მნიშვნელობა. ხშირად საუკუნოების მოძრაობა და მუშაობაა საჭირო, რომ ისტორიამ ერთი შემოქმედებითი ნაბიჯი გააკეთოს და შემოქმედებითი განცდის რგოლი გარდაქმნის წარსულს.

მძიმე, აუჩქარებელი და დინჯია ისტორიის მოძრაობა როგორც კაცობრიობის ისე ერის ცხოვრებაში. ისტორიის ყოველივე ნაკვთი საუკუნეთა განცდის, ძიებით და ბრძოლითაა ნაქსოვი: უშინაარსო და უფერულია ერის აწმყო თუ წარსული არა აქვს მას მდიდარი. წარსული ყოველივე ეროვნული მოძრაობის პოტენციის წყაროა:

წარსულის ენერგია ლაპარაკობს აწმყოში ისე როგორც წინაპართა ორგანიული განცდა ინდივიდუალობის განსახიერებაში და განმტკიცებაში.

თუ ეროვნულ ცხოვრების წარსული ღარიბია, ერის აწმყო უშინაარსო და უფერულია, ეროვნული ცხოვრება ენერგიას მოკლებულია; შეიძლება პოლიტიკურ მუშაობის გეგმა მშვენიერად იყოს შედგენილი, შეიძლება თეორიული განჭვრეტა მდგომარეობისა იყოს რაციონალური და სწორი, შეიძლება წამბაძველობა განსაკუთრებულ ეროვნულ ისტორიულ პირობებში მიზანშეწონილი იყოს, მაგრამ რაც უნდა გააფერადოთ გაალამაზოთ ეროვნული და სახელმწიფოებრივი წესწყობილება, რაც უნდა მხატვრულად და მეცნიერულად ხმაშეწყობილი სტილი იყოს დაცული სახელმწიფოს კულტურულ მუშაობაში, **ეროვნული წარსულის სული** მაინც თავისებურად ლაპარაკობს და თავისებურად მოქმედობს: შეგიძლიათ თქვენ დაათვალიეროთ სტამბოლის ევროპიულად მოწყობილი ნაწილი და დარწმუნდეთ იმაში, რომ ევროპიული კულტურის სტილი აზიურ სულიერ განწყობილების **ეროვნულ** მეტყველობას ვერ მოსპობს: კულტურული და ევროპიული ცხოვრების სტილი შეიძლება ხმა მაღლა ლაღადებდეს ცოდნაზე და და შრომაზე, მაგრამ საუკუნეთა ეროვნულ ინდივიდუალობის და თავისებურობის ხმა მაინც ისმის, მაინც მეტყველია...

საქართველოს **ისტორიული** წარწული საქართველოს **ისტორიულ** აწმყოს ახასიათებს: თუ აწმყო **ჩვენი** „ანარქიულია“ და უსწორ-მასწორო, სამაგიეროდ არც ჩვენი წარსულია სწორი და ერთ ხაზიანი.

მეცამეტე საუკუნის დასაწყისიდგან საქართველოს ისტორია ნელ-ნელა ჯოჯოხეთურ ტანჯვაში იძირება და საუკუნეთა ქარიშხლი ტალღაში სისხლის წვიმაში ალჩობს ქართველ ერს, არ აძლევს მას მოსვენებას და ბოლოსართმევს ეროვნულ გვირგვინს და თავის უფლებას, აყენებს ერს მონობის და რყვნის გზაზე.

საუკუნის, რუსეთის პოლიტიკურ მონობას ჩვენში მოყვა სულიერი მონობა და ინტელექტუალური როსკიპობა: ქართველ ერის **ისტორიული** და **ეროვნული** ლოგიკა წამბაძველობის სურვილმა დაახრჩო.

ქართველმა **ინტელიგენტმა** ევროპის და რუსეთის წიგნებში დაიწყო საქართველოს ბედის ძებნა: რასაც ქართველს წიგნი ეტყოდა, იმას ქართველი საქართველოს ეუბნებოდა და დღესაც ეუბნება. ილია ჭავჭავაძემ „ოთარაანთ ქვრივის“ გმირის არჩილის სახეში დაგვიხატა ქართველ ინტელიგენტის ტიპი, რომელიც მუდამ “წიგნით“ ლაპარაკობს, რომლის სული დაბლანდულია წიგნიდან ამოკითხული უფრო—უმარილო ფრაზებით.

არჩილი ნამდვილი ქართველი ინტელიგენტია, მხოლოდ არჩილს აქვს ერთი თვისება, რომელიც ქართველს დღეს აკლია: ინტელიგენტმა გულწრფელობა დაჰკარგა და სიტყვებში ეძებს ცხოვრების აზრს და მიზანს: ქართველი ინტელიგენტი დღეს მხოლოდ **ლაპარაკობს**, იგი ეხლა წიგნსაც არ კითხულობს; წიგნის წაკითხვა მას ზედმეტად მიაჩნია: პოეზია, მორალი, ფილოსოფია ქართველ ინტელიგენტს ენაზე აკრია. ცხოვრების ძირითად პრობლემები, რომელთა შესახებ ევროპა მოწიწებით და მორიდებით ამბობს თავის აზრს, ქართველი ინტელიგენტი ლაპარაკობს ისე „თავისუფლად“ და ადვილად თითქო ფლავი იყოს საჭმელი.

ამბობენ: თუ ვინმე ღმერთს ახსენებდა ნიუტონთან, დიდებული მეცნიერი მაშინათვე ქუდს მოიხდიდა და წამოდგებოდა; საქართველოში სულ სხვანაირად მიდის საქმე: ჩვენში კურს დაუმთავრებელი სტუდენტი რელიგიურ კულტის და მორალის საწინააღმდეგო დეკრეტს წერს; მეორე კლასიდგან გამოგდებული წირპლიანი ბიჭი კლასთა ბრძოლაზე „გვეკამათება“ და თავის „ისტორიოსოფიას“ თხზავს; უზრდელად ამბობს სისულელეს: კანტი ბურჟუაზიის წარმომადგენელიაო.

დღეს საქართველოში კაცი არ კითხულობს; ყველა ლაპარაკობს; ქართველი შეიძლება მართლა ზარმაცი იყოს, როგორც ამბობენ; მაგრამ სიმართლე უნდა

# დღეს.

### წერილები.

მეთაური—მოვალეობა და „აპეტიტი“.

კ. კაპანელი ჭანტურაია—საქართველო და ქართველი ინტელიგენტი.

შ. კარმელი—ალბატროსი (ლექსი.)

სამ. ყიფიანი:—საკვირაო საუბარი (ფელეტონი.)

### ცნობები.

საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა სამაზრო სასურსათო კომიტეტს 800 ფუთი გადამალული შაქარი აღმოუჩინა. სამტრედიის რაიონში საერობო არჩევნებში ეროვნულ-დემოკრატებმა გაიყვანეს 1 ხმოსანი. სოც. დემოკრატებმა 5. ს. ფედერალისტებმა და ესერებმა კი ვერც ერთი. ბათომში ქართველობა დიდ გაჭირვებას განიცდის·

---

ითქვას: ლაპარაკში და ღვინის სმაში ქართველს არავითარი სიზარმაცე არ ეტყობა.

კლასიკი—ეს ისეთი მწერალია, რომლის ნაწერებს არავინ არ კითხულობს და რომლის შესახებ ყველა ლაპარაკობსო, ამბობდა ოსკარ უაილდი.

მგონია არსად ევროპაში ეს პარადოქსი ისე არ გამართლებულა, როგორც საქართველოში: მარქსი, კანტი, ბუდდა, ქრისტე, ზარატუსტრა—ყველა ქართველ ინტელიგენტის „ნაცნობია“.

ქართველი ინტელიგენტი უზრდელია და თავხედი: ავტორიტეტის პატივის ცემა მას არა აქვს და მასთან თვითონ არ იცის, რას ამბობს, მხოლოდ „ამბობს“ „ლაპარაკობს“. არც ერთი კულტურულ სახელმწიფოში ტრაფარეტობას ისეთი ადგილი არა აქვს, როგორც ჩვენში: მორალი, იდეალი, პოეზია, პრინციპი, მიზანი, ქართველი ინტელიგენტს ყველაფერი „ესმის“, ყველაფერზე თავისებურად „მსჯელობს“.

რა არის ეს: დემოკრატიზაციაა თუ ნეოსოფიზმის (ახალი სოფიზმის) ხანა იწყება საქართველოში? პროტაგორები ეროვნულ საბჭოში გამოჩდენ და ალქივიადის ძაღლს დაეძებენ: შეიძლება საქართველოს ახალი განსაცდელი მოელის...

კ. კაპანელი-ჭანტურაია

---

დიტი გაეხსნა 10 მილიონიან ფონდიდან.

— ფინანსთა მინისტრის მოხსენებით ამიერ-კავკასიის ბონების პასუხისმგებლობის კომისიაში არჩეულ იქმნენ: სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგი ალ. ბეს. მდივანი, ფინანსთა მინისტრის ამხანაგი კანდელაკი და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრი ი. ლორთქიფანიძე.

დაადგინეს ეცნობოს ეს სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს, რათა სომხეთის მხრითაც იქნეს დანიშნული წარმომადგენლები ბონების პასუხისმგებლობის კომისიაში.

## ბათომის ქართველობა.

მთავრობამ შემდეგი ქაღალდი მიიღო ბათომელ ქართველთა ეროვნულ საბჭოსაგან:

ბათომელ ქართველთა ეროვნულმა საბჭომ 13 აგვისტოს სხდომაზე იქონია რა მსჯელობა იმის შესახებ, რომ ბათომში საქართველოს წარმომადგენელი დღემდის არაა ცნობილი ოსმალეთის მთავრობის მიერ, რის გამო ქართული საზოგადოება მოკლებულია ყოველგვარ დაცვას და გამოსარჩლებას, ერთხმად დაადგინა: ასეთი აუტანელი მდგომარეობა და შევიწროება ქართველ მოქალაქეთა ემცნოს საქართველოს მთავრობას დაჩქარებით შესაფერი ზომების მისაღებათ.

ადგილობრივი ეროვნული საბჭო ფიქრობს, რომ აუცილებლად საჭიროა სტამბოლში შუამდგომლობის განმეორება ამ საქმის შესახებ. რაც უნდა აცნობოს ჩვენმა მთავრობამ აქაურ მთავარ-სარდალს ესედ-ფაშას და სამოქალაქო უწყების წარმომადგენელს გუტასეროვს (გუბერნატორს).

ბათომის ქართველთა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე **გრ. ელიავა.**

## სახალხო გვარდიის შტაბი.

სახალხო გვარდიის მთავარ [illegible] სხდომაზე დაადგინეს 1) ლეჩხუმის მაზრაში გვარდიელთა მისაშველებლად მოხალისეთა რაზმი გაიგზავნოს. 2) ხალხს ჩამოერთვას ყოველ გვარი სახელმწიფო ქონება; ჯარ ცხენები, შემდეგ სოფ. „დედოფლის წყარო“ ლან გამოიტანოს 16-ზამბახანი და ბადიაურიდან ვინტოვები, უკანასკნელის სრულებით მოსაყვანად უნდა—გაიგზავნოს სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის წევრნი. 3) იმ გვარდიელებს, რომელნიც წინად სამსახურში იყვნენ ჯამაგირი იმდენი მიეცემათ, რამდენიც სხვა გვარდიელებს.

## მოსკოველი ქართველობა დამოუკიდებლობის შესახებ.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარემ შემდეგი წერილი მიიღო მოსკოველ ქართველთა ნაციონალურ კომიტეტის საზოგადო კრების თავმჯდომარის შ. ლორთქიფანიძისაგან:

„მოსკოვის ქართველთა კოლონიის 24 ივლისის 1918 წ. საერთო კრება განუსაზღვრელ აღტაცებით შეხვდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ამ დიდ მნიშვნელოვან ისტორიულ აქტს ფეხზე ადგომით ახლად გამზადებულ დროში ქვეშ კრძალვითა და მოწიწებით მოისმინა აქაურმა ქართველობამ ერის განთავისუფლების დიდი ამბავი. გულმოდგინე, ერთსულოვანი ტაში საერთო ღრმა აღფრთოვანება უთუოდ მოწმე იყო იმისა, რომ ყოველი ქართველი მოსკოველი განურჩევლად რწმენისა და მიმართულებისა მზად არის თავის სიცოცხლეც კი მსხვერპლად დასდოს ერის ბედნიერებისა და მშვიდობიანობისათვის.

კოლონიამ ერთხმად დაავალა კრების პრეზიდიუმს, უძღვნას საქართველოს უმაღლეს ორგანოს მხურვალე სალამი და ვისურვოთ, რომ ისტორიას გაემართლებიოს ის იმედი, რომელიც მან აღძრა ქართველთა გულში. მოსკოვის ქართველთა კოლონია ნათლად ხედავს იმ განსაცდელს, რომელსაც ქართველი დემოკრატია ვერ აასცდინა დამოუკიდებლობის გამოცხადებამ, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჭირნახევი ქართული

---

# საქართველო.

## მთავრობის მოქმედება.

მთავრობის სხდომაზე შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებით გადასწყდა: 1 აგვისტოს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებს თვიურად მოემატოთ 150 მან.

ხოლო ერთდროული [illegible] მიეცეთ 100 მან.

ხსენებული მომატება და [illegible] მიეცემა მხოლოდ ფოსტა-ტელეგრაფის იმ მოხელეებს, რომლებიც შტატების შემცირების შემდეგ დარჩებიან სამსახურში.

გადასწყდა, დაევალოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, დაუყოვნებლივ მოხდეს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა შტატების შემცირება.

[illegible] ყოველ [illegible] მიმართავს, ხსენებულ მოხელეთა პურის [illegible].

ყოველ ამ ხარჯების დასაფარავად შინაგან საქმეთა მინისტრს საგანგებო კრე-

## საკვირაო საუბარი.

### სოციალიზმის „ოპერაციები“ საქართველოში.

წარსულ კვირას, სხვათა შორის, ორიენტაციის შესახებ მქონდა მკითხველთან საუბარი, დღეს ორ პარტიაზე ვისაუბროთ, თუ შეიძლება, რომ ჩვენში ორ ჯგუფად გაყოფილ საზოგადოებას ჭეშმარიტი პარტიის სახელი ვუწოდოთ.

საქართველოში, ეს ერთი ხანია, ბოლშევიკობის მოვლენის არ იყოს, ყველაფერი სოციალისტური შეშლილობის ნიადაგზე ხდება და, როგორც ორიენტაციებმა, ისე პარტიობის წარმოების მოდამ ქართული პოლიტიკო-ეკონომიურად მოანბანე თაობა თითქო შეშალა და გააგიჟა.

სწორეთ ამ შეშლილობის შედეგად უნდა ვიანგარიშოთ, რომ ხსენებულმა თაობამ მობოჭა, რაც ევროპისა და რუსეთის პაწია წიგნაკებში სოციალურს ეკონომიურსა და პოლიტიკურს ნიადაგზე აღმოცენებული პარტიების სახელები ამოეკითხათ და ჩვენი საზოგადოების დანაწილებაც ამის მიხედვით მოინდომა.

იქაც იყვნენ და არიან სოციალ-დემოკრატები, უთუოდ აქაც უნდა ყოფილიყო ეს პარტია, იქაც იყვნენ სოციალ-რევოლუციონერები, აქაც უიმისობა როგორ შეიძლებოდა, იქაც არიან რადიკალები, აქ რადიკალთ რადიკალობას მისჭიდეს ხელი; იქ ხომ პროლეტართა ქვეყანაა, და როგორც ბურჟუაზიის სამეფოში, შეშვენის კიდეც, რომ პროლეტართა პარტია იყოს, ჩვენში კი, როგორც რუსეთის რევოლუციის ბელადი ირაკლი წერეთელი ამტკიცებს, ბურჟუაზია არ ჰპაჰნებს და ქარხნის ბუღში კვამლი არაფუა, მაგრამ სოციალ დემოკრატების მოციქულები 20 წელიწადია ჰყიოდენ და დღესაც ჰყივიან: „პროლეტარებო, მთელის ქვეყნისა შეერთდითო“.

კიდეც შეერთდეს, ქართველობას მერე რა!

იქაც იყვნენ და არიან ანარქისტები, აქაც, ანარქისტობაში არავინ გვაჯობებს, და მეცნიერული ანარქიზმი პრაქტიკულ ანარქიასა და ავაზაკობაზე დაახურდავეს, ბოლშევიზმზე შესცვალეს და ვინ ჩამოთვლის კიდევ, რამდენი სხვა და სხვა პარტიის და ჯგუფის სახელებით არ მონათლეს ჩვენი პაწაწინა საქართველოს მცხოვრებნი—საქართველოსი, რომელიც ასოცი წლის განმავალობაში რუსეთის ბიუროკრატიის სამზარეულოს წარმოადგენდა და სადაც მზარეულთა და გოგო-ბიჭების ზნეობა იყო და არის გამეფებული.

ბოლოს რა შეგვრჩა ხელში?

თურმე, ნუ იტყვით, საქართველოში, როგორც წინეთ, უხსოვარის დროიდან იყო და არის ორი ნამდვილი პარტია, ადამიანები და ამ ადამიანებს ახასიათებს და საზღვრავს არა ევროპიული პოლიტიკო ეკონომიური და სოციალური მიდრეკილების ალღო, არამედ სრულიად ელემენტარული, მემკვიდრეობით გადმოცემული, თან შობილი ნიშნები, ხასიათი და ყოფაქცევა.

ვინ დასდევს პროგრამის სიწმინდეს? ვინაა გამსჭვალული საკაცობრიო მაღალი იდეალებით? ვინ ესწრაფის კაცთმოყვარეობის პრინციპების განხორციელებას? ვერ მოვნახეთ ისეთი სამაგალითო და მისათითებელი პიროვნება ამა თუ იმ პარტიის წევრთა, მოძღვართ და მეთაურთა შორის, რომ მისი მოღვაწეობა, თეორიულად და პრაქტიკულად მისი ცხოვრების კილო, მისი ყოფა-ქცევა სიმპატიური, სამაგალითო და მისაბაძი იყოს:

დღეს რომ ერთი ჯგუფი მეორეს დასახრობად და დასაკლავათ არ ეზოგება, ხვალ ხელი ხელ გადახვეული დაიარება მასთან, გუშინ რომ მათი პროგრამები რადიკალურად ერთი მეორის წინაალმდეგი იყო, დღეს ეს თეორიული წინაალმდეგობა გაწბილებულა და ორი გადაკიდებული მოძღვარ მოწაფის ბანაკები მტკიცედ შეკავშირებულან.

რატომ? რისთვის?

გინდა რომ პატიოსანი საბაბი მოძებნო ასეთი მორიგებისა, მაგრამ რჩება მხოლოდ ერთი რამ: ცხოვრების პრაქტიკული მოსაზრება-თავის შენახვის სარჩოს მოპოების საშუალება, ვიწრო ნივთიერი ეგოიზმი, ან ამაო პატივმოყვარეობა და სხვ. ამისთანები.

ამიტომ იბნევა ჩვენი ცხოვრების მეთვალყურე და პარტიების არსებობა, პარტიებისა, როგორც სხვა ქვეყნებშია, აღარ სწამს და ისევ ძველებურად ფიქრობს.

დიალ ძველებურად, ესე იგი, ჩვენ სოფლად და ქალაქად მხოლოდ ორი დარგია, ანუ, ახლანდებურად რომა ვსთქვათ, ორი პარტიის ხალხია.

ერთ დასს შეადგენს პატიოსნები, ხალხის გულწრფელი მეგობრები, მტაცებლობის მგმობელნი, სიმართლის მოყვარენი, კანონიერების მოტრფიალენი, და დამცველნი, უფლების და საკუთრების ხელშეუხებლობისათვის მზრუნველნი,—მეორე მხრით უპატიოსნონი, ფარისეველნი და პირ მოთნენი, წვრილმანი თავმოყვარეობით გაჟღენთილნი, ეგოისტები, მტაცებლობისა და ძარცვის მოყვარენი, უსამართლობის და სიცრუის მოციქულნი და მახარებელნი უსინდისონი და უპატიოსნონი. და ჩვენდა სავალალოდ და სამწუხაროდ, პირველი დარგის ადამიანები ყველგან და ყოველ პარტიაში სანთლით საძებარია, მეორის ყოველ გზა ჯვარედინზე შეგხვდებათ ყოველს დაწესებულებაში, ყოველს ჯგუფში, ყოველს ფეხის გადადგმაზე, ყოველგან და ყოველთვის და შეგხვდებათ იმ სამზარეულოს ზნეობით, „რაც ასი წლის“ მონობამ ჰვიწყალობა.

ამიტომ, როცა რომელიმე კაცობრიობის გასაუმჯობესებელი მოძღვრება, ანუ ქიმერა, საიმედო ოცნება შემოაშუქებს ჩვენში თითეული ჩვენი საზოგადოების უმეტესობისა თავისებურად, თავის ყაიდაზე აწარმოებს ხსენებულს მოძღვრებას, თავისი პირადი ინტერესების მიხედვით შესცქერის ამა, თუ იმ ქიმერას, ოცნების იმედის ნავთსაყუდელს. მოკლეთ რომა ვსთქვათ, თვითეული მათგანი თვისი მიდრეკილების მიხედვით გამოელის მოძღვრებისაგან საპირადო „გამოსარჩენს“.

ეს ადვილი მისახვედრია, თუ ისტორიის საბუთებს მოვაშველიებთ: ქრისტიანობა თითოეულმა ხალხმა და ერმა თავისებურათ გაიგო და გამოიყენა, თავისებურ სამოსელში გამოეხვია, თავისს გემოსა და მიდრეკილებას შეუხამა, თავის პრაქტიკულ ცხოვრებაში თავისებურად გამოიყენა.

აბაშეთის ქრისტიანობა ესპანიისას არა ჰგავს; ესპანიაში ინკვიზიცია გამოიწვია კაცთ მოყვარეობის მოძღვრებამ, ჩვენში კი—ტვირთძიმეთა მოწყალება. სად ფილიპე 2 და ტორკვემადა და სად დიმიტრი თავდადებული და არსენ იყალთოელი.

სწორეთ ასე დაემართა ჩვენში იმ სოციალიზმს, რომელიც საიმედო ქიმერად არის აღიარებული პროლეტართა ქვეყნებში, და რომელმაც ჩვენში, თვისი მოძღვარ-მოციქულები შეშალა და ჭკუა დაუბნია.

არც მოძღვარი სოციალისტი და არც მისი სამწყსო არა ჰგავს ჩვენში მყოფ სოციალისტ მოძღვართა და მოწაფეთა. მაგრამ საკვირველი ისაა, რომ სოციალიზმი ისეთი ჯგუფის სათამაშოდ შეიქმნა, რომელიც თავისი პირადი ანგარიშების გამოსასწორებლად მოიშველია და გამოიყენა.

იმის უარს არა ვართ, რომ ზოგთათვის სოციალიზმი ისეთი ქიმერაა, როგორც მართლმორწმუნე ოსმალოსათვის მამადიანობა, როგორც ქიმერასაც წარმოადგენს

მშრომელი დემოკრატია, ვით აქამდის არც ახლა შეუდგება ისტორიის მიერ დაკისრებულ მძიმე მოვალეობის პირნათლად ასრულებას. გულმხურვალედ უსურვებთ საქართველოს გამარჯვებული გამოსულიყოს იმ ისტორიულ და საბედისწერო ბრძოლიდან, რომელიც ჯერ კიდევ მას არ დაუთავებია.

## ალბატროსი.

**შ. ბოდლერი.**

როს მეზღვაურებს, ზღვის უფსკრულში სადაც ქვებია,
შეხვდებათ ხოლმე ლურჯ ეთერის ნაზ უფროსების,
დაჰერა დიდ, თეთრ, ფრინველების, ალბატროსების,
გაბედულ ხომალდს უდარდელად რომ დაჰყვებიან, —

ფიცრებზე სდებენ: დაცემული, გულნამწყვდიადი,
როგორც ორ ნიჩაბს ტალახიანს და მძიმეს ქვიშით, —
ღრუბელთ იქით მხრის ადრინდელი მეფე ზვიადი
ხომალდის ბანზე ფრთებს დატეხილს მიათრევს შიშით.

ამაყი შვილი ლაჟვარდისა, გრიგალს და წვიმას
ვინც არ უკრთოდა, დღეს თვის სახელს აქ იზიანებს;
ჩიბუხის ბოლით მეზღვაური აშინებს იმას, —
თავს დახარხარებს და კოჭლობით ალიზიანებს.

მგოსანი როგორც ალბატროსი, სანამ ცაშია,
ჰკვეთავს ქარიშხალს ყრუ ამიდის თანაზიარულს,
მაგრამ იქ ძალა და შეძლება მხოლოდ ფრთაშია, —
უფრთობა ქვეყნად კი უძნელებს ხალხში სიარულს!..

**შალვა კარმელი.**

## სხვა და სხვა ამბები.

**სომხეთი.** სომხეთის წარმომადგენელმა საქართველოში დეპეშა მიიღო, რომ ესად-ფაშამ ბრძანება მიიღო შეაჩეროს დაკავებულ ადგილების მამაკაც მცხოვრებთა იძულებით გაგზავნა სამუშაოდ და ისინი სამშობლოში დააბრუნოს.

**გერმანიის საელჩო აცხადებს:** ვინაიდგან რუსეთში და უკრაინაში მიმავლებით ფოთი გავსებულია და ამით იქ გაჩერებული მგზავრები შევიწროვებულნი არიან, — ფოთში რუსეთსა და უკრაინაში წასასვლელად ჩასვლა სასურველი არ არის, ვიდრე ოფიციალურად არ გამოცხადდება პირობების გაუმჯობესება.

**სპილენძის გაგზავნა გერმანიაში.** ქალაქის თავი შუამდგომლობს ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის წინაშე ნება დართოს მას, გააგზავნოს გერმანიაში უშუალოდ ან გერმანიის მისიის შემწეობით 5000 ფუთი დაუმუშავებელი სპილენძი, რომლისაგან იქ სხვადასხვა სამანქანო ნაწილებს დაამზადებენ (ტრამვაისთვის და სხვა) და თბილისში გამოგზავნიან, მინისტრმა თავისი პრინციპიალური თანხმობა განაცხადა ამაზე, ამ მიზნისათვის გერმანიაში იგზავნება ტრამვაის ინჟენერი კაჩკერი.

**ადერბეიჯანის მთავრობამ** წინადადება მისცა საქართველოს მთავრობას თბილისისა და განჯის შუა რკინის გზაზე ისეთ მოძრაობის აღსადგენად მატარებლები იჩხრიკებოდეს მხოლოდ თბილისის სადგურზე და არა ნავთლუღისა და ფოილოს სადგურებზე, როგორც ეს აქნამომდე იყო.

**სალერბ - მარკები.** ფინანსთა სამინისტროსთან გამართულმა თათბირმა დაადგინა ხარჯების შესამცირებლად ადგილობრივ ექსპედიციაში დამზადდეს მხოლოდ სალერბო მარკების, პაკეტების და სახელოსნო სამრეწველო მოწმობათა მთავარი ტიპები. სხვა გადასახადებისათვის კი ამ მთავარ ტიპებს მარკებს დააკრავენ. იმავე ექსპედიციაში დაიბეჭდება სათამაშო ქაღალდი. სურათები ძველი ქართული ყაიდისა იქნება.

**ქალაქთა დელეგატების ყრილობა.** დანიშნულია სექტემბრის 5-სათვის. მონაწილეობას მიიღებს საქართველოს და სომხების ქალაქთა საბჭოები, რომელნიც თითოეულ 20 ხმოსანზე თითო დელეგატს გამოგზავნიან. მათ გარდა მონაწილეობის მიღება შეუძლიანთ ქალაქის თავებს, გამგეობის წევრებს, საბჭოთა თავმჯდომარეებს და ხმოსნებს, რომელნიც ყრილობის დროს თბილისში იქნებიან.

## უცხოეთი.

### რუსეთი.

— 15 აგვისტოს კურსი დაამთავრეს პეტროგრადში ეგრედ წოდებულმა წითელმა ოფიცრებმა. პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარემ ზინოვიევმა საზეიმო სხდომაზე წითელ ოფიცრებს წითელი დროშა ჩააბარა. „ეს დროშა, რომელიც გაჟღენთილია მუშათა კლასის მებრძოლთა გულის სისხლით, შეინახება პეტროგრადის საბჭოს შენობაში“ დაამთავრა სიტყვა ზინოვიევმა.

— გარეშე საქმეთა კომისარმა ჩიჩერინმა გოლანდიის ელჩის პირით მოუწოდა მოკავშირე სახელმწიფოებს, რომ მოკავშირე სახელმწიფოთა მოქალაქენი, როგორც დიპლომატიურ ისე კონსულები მიიღებენ რუსეთიდან წამოსვლის ნებას იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს წარმომადგენელს ინგლისში ლიტვინოვს საშუალება ექნება დაბრუნდეს სამშობლოში.

— ოდესის გაზეთები ყურადღებას აქცევენ, რომ ოდესაში ჩამოსულ უკრაინის სამხედრო მინისტრს რაგოზას, გერმანული სახის პაგონები ეკეთება, რომლის ტარება მთელს უკრაინულ ჯარშია შემოღებული.

— ლონდონიდან ცნობაა: ლოიდ ჯორჯმა ლივერპულის ნავთ სადგურის მუშები ინახულა და გამოუცხადა, რომ მომავალი ზამთრის საომარი მოქმედება უკანასკნელი იქნება მშვიდობიანობის მოსურნე ტანჯულ ხალხისათვის.

— დიპლომატიურ წრეების ცნობით ამხანათ ვოლოგდაში განუწყვეტელი სხდომები ხდება საფრანგეთის, იტალიისა და ამერიკის ელჩებისა, მოსალოდნელია, რომ ინგლისის საელჩოს მთელი შემადგენლობა ამ დღეებში არხანგელსკში დაბინავდება. იტალიის, საფრანგეთის, იაპონიის და ამერიკის საელჩოების იქვე გადასვლა ახლო მომავალში გაირკვევა.

— „ჰავარის“ სააგენტო იუწყება ვლადივასტოკიდან, რომ ციმბირის მთავრობა მთელი შემადგენლობით გადადგა.

საკიამუნისა და ბუდას მოძღვრება და სხვა რელიგიები. ქიმერითა და ოცნებებით ცხოვრობდა ადამიანთა კრებული და იცხოვრებს კიდეც. ამ მხრით სოციალიზმის საწინააღმდეგო ჩვენ არა გვაქვს რა. მაგრამ რა ვთქვათ ისეთ სოციალიზმსა და სოციალისტობაზე, როცა იგი პირადი ანგარიშების გამასწორებელ მოძღვრებად იქცა, როცა ეგ სოციალიზმი ავაზაკობას დაემსგავსა, როცა იგი დემაგოგების და ავაზაკთა მაცხოვნებელი შეიქნა, როცა ეგოისტების და მმართველობის იარაღად გახდა, როცა თბილი ადგილების საშოვნელ ფაქტორად შეიქმნა; როცა მინისტრებს ჯენტლმენობა დაავიწყა: სხვა ქვეყნებში, როცა რომელიმე სამინისტროს პროექტი ცხოვრებაში ნდობას ვერ მოიპოებს, როცა მათი მოქმედებას მოქალაქეთა აღზრდილობის ხასიათ ჰკარგავს, მაშინ ერთი და ორი, ან მთელი შემადგენლობა მთავრობისა ჯენტლმენურად, პირადი ღირსების დაცვით ადგება, პარლამენტს თავს დაუკრავს და თვის ადგილს სხვას დაუთმობს.

ჩვენი მინისტრობა და მთავრობა ამას არა შვება და არც იზამს არაოდეს.

ეუბნებიან და თვითონაც აშკარად ხედვენ და გრძნობენ, რომ არც ერთს არა აქვს საანბანო ცოდნა იმ სპეციალობისა, რაც მათი უწყებისათვის აუცილებლად საჭიროა, მაგრამ ეს ყიჟინი თითქოს მათ ყურს არ გაუგონია;

უფლების მოყვარეობა თურმე ისეთი რამ ყოფილა, რომ მის გამოთხოვება ასე ადვილი სათქმელი და საქნელი როდია! სამფეხი სკამით მოზეზრებული ადამიანი რომ სავარძელზე დაჯდება, მერმე ძნელია მისი აყენება.

ჩვენი ახლანდელი მთავრობა თვის მიერ დაკანონებულს დეკრეტს ცხოვრებისაგან გაწბილებულს და უარყოფილს ისე შესცვლის, რომ პირველი დღიდან წინააღმდეგიც კი იყოს, მაგრამ თავის ადგილზე მაინც დარჩება, რადგან დედაც უყვარს, მამაც უყვარს, მაგრამ თავი ყველას ურჩევნია.

მართალნი არიან. ჩვენებურმა ნამინისტრალმა რით უნდა ირჩინოს თავი? იგი ხომ ლორდის და ბურჟუას ძე და მომავალი არაა, რომ თვისი წვრილი ცოლშვილი მინისტრობის დროინდულად არჩინოს. ახლა კი სასახლეში ზის და ისეთ ისეთი საჭმელები მიერთმევა, რომ მისს მამა პაპას სახელიც არ გაუგონია, მაშინ როცა მათი საბლოლოჩინოს ხალხი შიმშილით, სიცივით და სიტიტვლით იხოცება.

ძეგველოვს უთქვამს: არც დონდუკოვ კორსაკოვის დროს და არც ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის „ნამესტნიკობისას“ ამდენი თართი, ზურგიელი და ხიზალალა სასახლესათვის არ მოუთხოვიათ, რამდენსაც ახლა კოჯორსა და „სასახლის კაცების“ ბინებზე ვაგზავნით.

ამას გარდა ისიც საგულისხმოა, რომ მინისტრების სავარძლები რომ წაიქცეს, მაშინ ხომ მათ ფეხებზე გამობმული, ახალი სახელმწიფოს „აღმშენებელი მოღვაწეებიც“ წაიქცევიან — მოღვაწეები, რომელთაც, ერთი თანამდებობის მაგიერ, ოთხი და ხუთი თანამდებობა უჭერიათ ხელში მხოლოდ იმის წყალობით, რომ გაბატონებული პარტიის სიაში მოჰყოლიან, რათა ბლომათ სამ-ოთხკეცი ჯამაგირი მიიღონ და არა იმის გამო, რომ რისიმე აღმშენებლობაში დახელოვნებული იყვნენ: და მართლა რასმე აშენებდენ.

როდემდი, როდემდი იქნება ასე?

**სამ. უიფიანი.**

## უკანასკნელი ცნობები.

**ქ. კრემენჩუგი.** ფულის ნიშნების უქონლობის გამო ქალაქის თვითმართველობა უშვებს ბონების მესამე სერიას.

**ქ. გომელი.** სამზღვრების დაკეტის გამო ქალაქში დიდძალი ლტოლვილები მოგროვდენ. ქალაქში სურსათის დიდი კრიზისი. ქალაქის თვითმართველობას ხოლერის საწინააღმდეგოდ ზომები მიიღო.

ნიკოლაევი დააპატიმრეს მეფაბრიკე მილიონერი ლიშჩი, რომელსაც ბრალი ედება უკრაინის საკრედიტო ყალბი ნიშნების დამზადებაში. საქმე გადაეცა სასამართლოს გამომძიებელს.

**დელეგაცია ყირიმიდან.** კიევში მოვიდა ყირიმის მთავრობის დელეგაცია, რომელმაც უკრაინასთან უნდა მოაწყოს საქონლის გაცვლა-გამოცვლა საქმე.

**ოდესა.** ოდესაში მცარცველების რიცხვი დღითი დღე იზრდება, რომელნიც სისხლის სამართლის მილიციას დიდ წინააღმდეგობას უწევენ. ამ დღეებში ნახეს ერთი მოკლული, რომელიც ძალზე დასახიჩრებულია. ბოროტმოქმედები ქუჩებში უშიშრად დადიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი ამბავი

### ქუთაისი

✦ **ანარქიასთან ბრძოლა.** ს. ნამახვანი (დეპეში) ეხლა ცნობა მივიღე, რომ საკარაძის მეთაურობით ჩვენმა ჯარმა დაიკავა სოფ. ლახეთი.

**პოლქ. ინწკირველი**

✦ **არჩევნები სამტრედიის რაიონში.** სამტრედიის რაიონში არჩევნები უკვე დასრულდა. სოც. დემოკრატებმა მიიღეს 12, 903 ხმა. ეროვნულ დემოკრატებმა 10 50 ხმა. ს. რევოლუციონერებმა ვერც ერთი. ასარჩევი იყო სულ 6 ხმოსანი, აქედან სოციალ-დემოკრატებმა გაიყვანეს 5 ხმოსანი, ეროვნულ-დემოკრატებმა 1 ხმოსანი და სოც. რევოლუციონერებმა და ფედერალისტებმა კი ვერც ერთი.

✦ **გუბერ. კომისარი.** გუბ. კომისარი ჩხიკვიშვილი თფილისიდან უკვე დაბრუნდა და შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას,

✦ **800 ფუთი შაქრის აღმოჩენა.** საგუბ. სასურსათო კომიტეტმა სამაზრო სასურსათო კომიტეტს აღმოუჩინა 800 ფუთი გადამალული შაქარი. გამოძიება სწარმოებს.

✦ **ყალბი ფულის მკეთებლები.** მილიციის უფროსმა სულაქველიძემ დააპატიმრა რამდენიმე პირი, რომელთაც ბრალდებათ ყალბი ფულის გაკეთება და გასაღება.

✦ **რკინის გზ. მოსამსახურეთა შორის.** დღეს დანიშნულია წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის დარბაზში რკინის გზის მოსამსახურეთა კრება.

✦ **ბრძანება.** გუბ. კომისარმა უბრძანა ოზურგეთის, ზუგდიდის, ახალ-სენაკის და შორაპნის მაზრების კომისარებს, რათა მათ დაუყონებლივ წარმოადგინონ სიები სოფლებში ახლად დანიშნულ სოფლის კომისარებისა და მილიციელებისა.

✦ **ხოლერის აცრა.** ვინაიდან ქალაქში არის ხოლერის ეპიდემია, ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია ქალაქთა კავშირისა (გენერლის ქუჩა, სახლი კურტოვისა მეორე სართული) უფასოდ უცრის ხოლერას მსურველთ. აცრილები არ ხდებიან ავად და თუ, იშვიათ შემთხვევაში, გახდნენ ავად, ადვილად იხდიან ავადმყოფობას. აცრა შეიძლება დილის 9—3 საათამდე.

✦ **საქონლის დაკვლა.** ქალაქის გამგეობამ ნება დართო მეყასბეებს კვირაობითაც დაჰკლან საქონელი, მხოლოდ აუცილებელია დაკვლას დაესწროს საქონლის ექიმი.

✦ **განთავისუფლება.** საგუბერნიო ციხიდან თავდებქვეშ გაათავისუფლეს ბოლშევიკი ირაკლი ურუშაძე.

✦ **გუბ. კომისარის ბრძანება.** გუბერ. კომისარმა ჩხიკვიშვილმა უბძანა ფოთის მილიციას, დაუყონებლივ გამოძიებულ იქმნას საქმე ჯინჭარაძის დაჭრის შესახებ და დამნაშავენი ქუთაისს გამოგზავნოს.

## ძირითადი დებულება.

**საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ბეგრისა და მუდმივი ჯარის შესახებ.**

მუხ. 1.

სამხედრო ბეგარა რესპუბლიკაში საყოველთაოა და საპირადო ყოველი მოქალაქისათვის (ქვეშევრდომისათვის).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ეს მუხლი კანონისა არ შეეხება მაჰმადიან მოქალაქეებს.

მუხ. 2.

რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე ოცი-

დან ორმოცდა ხუთ წლამდე (20 და 45 წლიანი) მოვალეა პირადად მოიხადოს სამხედრო ბეგარა, გარდა იმ შემთხვევისა რომელიც ნაჩვენებია კანონში. ბეგრის მოხდა სხვის მაგიერ არ შეიძლება.

მუხ. 3.

ვისაც სამხედრო ბეგარა მართებს და ჯარში სამსახურისათვის უვარგისი გამოდგება, გაწვეულ იქნება არმიაში ისეთ მოვალეობისათვის, რომელიც შეეფერება მის ფიზიკურ აგებულებას და აგრეთვე, რამდენადაც შესაძლებელია, მის ცოდნას და წინანდელ სამსახურს.

მუხ. 4.

შეიარაღებული ძალა საქართველოსი შესდგება მუდმივ ჯარისა და ლაშქრისაგან.

მუხ. 5.

არმია არის მუდმივი და სათადარიგო. მუდმივი არმია მუდამ მზად არის ომის სამსახურისათვის. სათადარიგო ჯარის დანიშნულებაა გაძლიერება და შევსება მუდმივ არმიის მობილიზაციის დროს.

მუხ. 6.

ლაშქარს გამოიწვევს საკანონმდებლო დაწესებულება მაშინ, როდესაც სამშობლოს საფრთხე მოელის, და ამ შემთხვევაში შეიძლება ჯარში გაწვეული იქნეს ქუდზე კაცი, ჩვიდმეტიდან დაწყებული 50 წლამდე.

მუხ. 7.

ყოველი სამხედრო მოსამსახურე მუდმივი არმიისა, სათადარიგო და მოლაშქრე, ვარჯიშობისათვის გაწვევის დროს, აგრეთვე ისიც, ვინც გაწვეულია მომქმედ ჯარის შესადგენათ, პოლიტიკის გარეშე იმყოფება.

მუხ. 8.

საერთო ვადა სამსახურისა 25 წელიწადია: ნამდვილი სამსახური ორი წელიწადი, სათადარიგოში 15 წელიწადი და ლაშქარში 8 წელიწადი.

გადარიცხვა ნამდვილი სამსახურიდან სათადარიგოში და სათადარიგოდან ლაშქარში მოხდება ყოველ წლივ, კანონით აღნიშნულ დროს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მთავრობა საგანგებო ბრძანებას გამოსცემს.

მუხ. 9.

ვინც შეასრულა სავალდებულო ვადა ნამდვილი სამსახურისა და სურს სამსახურის გაგრძელება: შეუძლია კიდევ იმსახუროს განსაკუთრებული წესების თანახმად, თუ სამსახურისათვის გამოსადეგია.

მუხ. 10.

სამხედრო ბეგრის ვადის გადადების უფლება აქვს:

1) სამხედრო ბეგრის ასაკის ახალგაზდას რომელიც, კონტინგენტის შევსების გამო არ ყოფილა მიღებული ნამდვილ სამსახურში. ასეთ ახალგაზდას გაიწვევენ ნამდვილ სამსახურში შემდეგ წელს პირველ ჯარში.

2) იმას, ვინც ფიზიკურად საკმაოდ განვითარებული არაა და შეპყრობილია ისეთის სენით, რომელიც საბუდამოდ არ გაანთავისუფლებს სამხედრო სამსახურისაგან.

3) საშუალო სკოლების მოწაფეს სწავლის დასრულებამდე, თუ წარმოადგენს სკოლის მოწმობას, ბეგრის გადადება შეიძლება მხოლოდ 22 წლამდის.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: არ იქნება გაწვეული სამხედრო ბეგრის მოსახდელად საქმის ასრულებამდის, ვინც მიცემულია სასამართლოში, ან ვის შესახებაც გამოძიებაა ისეთ დანაშაულისა გამო, რომლისთვისაც კანონით დაწესებულია უფლების აყრა ან უფლების შეზღუდვა.

მუხ. 11.

სამხედრო ბეგრისთვის გაწვევა მოხდება ყოველ წლივ ნოემბრის ხუთმეტს. გაწვეულნი იქნებიან ახალგაზდები, რომელთაც შემდეგი წლის იანვრის პირველისათვის შეუსრულდებათ 20 წელი. ვადა სამსახურისა ითვლება დღიდან გაწვევისა. წესი ჯარში გაწვევისა და საექიმო შემოწმება გაწვეულთა აღნიშნულია სამხედრო ბეგრის წესდებაში.

მუხ. 12.

სათადარიგო და სალაშქრო სამხედრო სამსახურში მყოფნი განსაკუთრებულად აღინუსხებიან და ექვემდებარებიან სამხედრო კონტროლს. ის პირნი, რომელნიც გადარიცხულნი არიან სათადარიგო ჯარში, ვიდრე სათადარიგოთ ირიცხებიან, შეიძლება გაწვეულ იქმნენ განმეორებითი ვარჯიშობისათვის ყოველ სამ წელში სამი კვირის ვადით.

ლაშქარში ჩარიცხულნი, მთელი იმ დროის განმავლობაში, სანამ ლაშქარში ითვლებიან, განმეორებითი ვარჯიშობისათვის შეიძლება იქმნენ გაწვეულნი მხოლოდ სამი კვირის ვადით. განმეორებითი ვარჯიშობის გასაწვევ დროს ნიშნავს სამხედრო მინისტრი. ეს გაწვევა არ უნდა მოხდეს საარჩევნო კომპანიისა და საერთო პოლიტიკურ და კომმუნალურ არჩევნების დროს.

განმეორებითი ვარჯიშობისათვის გაწვეულ პირთ, რომელნიც სახელმწიფო, საზოგადოებრივ, ან კერძო სამსახურში ირიცხებიან, გაწვევის დროს ადგილი შეენახებათ.

1918 წ. აგვისტოს 20.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩ ხ ე ი ძ ე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა.

## რკინის გზის გარშემო.

(პასუხი ლ. უგულავას, ა. დოლიძეს და მათ ამხანაგებს).

ერთი თვეა რაც ჩემზე სოც.-დემოკრატიულ გაზეთებში იწერება ყოველ საბუთებს მოკლებული წერილები. მე მართალი უნდა ვთქვა, არ მინდოდა პასუხი გამეცა ამ სიტყვათა რახა რუხზე, მაგრამ ვინაიდან ვაჟბატონი „მწერლები“ არ ისვენებენ და განაგრძობენ მაინც ხალხის შეცდომაში შეყვანას, და მეორე კიდევ ის, რომ შესაძლებელია ჩემი სიჩუმე ბევრმა ისე მიიღოს, ვითომც მე გასამართლებელი [illegible] არა მაქვს რა, ამიტომ მინდა უკანასკნელი პასუხი გავსცე ყველას ერთად, და ერთხელ კიდევ დავანახო საზოგადოებას თუ ვისთანა გვაქვს საქმე და რა პირისუფლები ყავს ჩვენი რესპუბლიკის ერთ მეტად საპასუხისმგებლო დარგს. რაშია საქმე? რამ აამხედრა ეს ხალხი და რისთვის ღვრიან ამ ზღვა მელანს თეთრ ქაღალდზე?

ყველამ ვიცით, რომ რკინის გზის მოსამსახურეთა შტატის შემცირება მოხდა. ეს საჭირო იყო და ამის წინააღმდეგ არავის არა აქვს რა სათქმელი. მაგრამ საქმე იმაშია, რამოდენათ სამართლიანად აასრულეს ეს ოპერაცია. ჩვენ ხელთა გვაქვს მრავალი საბუთები, რომ მოხდარა აშკარა უკანონოება. ჩვენ დავრწმუნდით რომ შტატს გარეთ დარჩა უმრავლესობა სრულიად დაუმსახურებლად და შტატში მოჰყვა ბევრი არა სასურველნი. გარკვევით რომ ვთქვათ ულირსნი სამსახურში დარჩნენ და ღირსეულნი სამსახურს გარეთ. ჩვენ დავინახეთ ეს მომხდარი უკანონოება და მოვალედ ჩავთვალეთ ჩვენი თავი საზოგადოებისათვის დაგვენახვებინა ეს. სანამ ჩვენს ყურამდის მოაწევდა ეს ამბავი, მანამდის უსამართლოდ ქუჩაში გადაყრილებმა მიმართეს სოც.-დემოკრატიულ პარტიას, სამინისტროს, რკინის გზის ცენტრალურ და ადგილობრივ კომიტეტებს, და ყველამ გვერდზე გადასდო ეს საჩივარი და უკმაყოფილონი ბოლოს ჩვენთან მოვიდნენ და ჩვენი ფრაქციაც გაეცნო რა ამ მოვლენას, თავს იდვა გამოსარჩლებოდა მხოლოდ უსამართლოდ დასჯილთ და უკანონოებისათვის ნიღაბი აეხადა. ფრაქციამ მომანდო შემეკრიბა დაწვრილებით ცნობები ამის შესახებ. და როდესაც ეს სისრულეში იქნა მოყვანილი მხოლოდ მაშინ შეიტანა შეკითხვა ეროვნულ საბჭოში.

სამშაბათს 6 აგვისტოს მოხდა ქუთაისში კრება რკინის გზის მოსამსახურეთა. უკანასკნელთ სურდათ გამოერკვიათ თავისი მდგომარეობა და ამიტომ გაიმართა მსჯელობა თუ რა გზას უნდა დაადგნენ მოსამსახურენი, რათა შტატის შემამცირებელ კომისიის მიერ გადადგმული შეცდარი ნაბიჯები გამოესწორებიათ. კრებაზე აშკარათ დარწმუნდა ყველა რომ დიდი შეცდომებია მომხდარი. მაგრამ კომისიას გამოუჩნდა ერთი-ორი უფასო ვექილი—ლ. უგულავა და ა. დოლიძე. აქვე საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ეს ვაჟბატონები სამსახურში არიან და შესაძლებელია ამიტომ დასჭირდათ მათი სამსახურში დამტოვებლების გამოქომაგება. რომ ვერას გახდენ კრებაზე და ხალხმა ზიზღით შეხვდა მათ, მაშინ პრესაში გადაიტანეს კომიტეტის დაცვა და მოყვენ ყოველ საბუთებს მოკლებულ ლანძღვა გინებას იმათდა მიმართ, ვინც მოიწადინა სიმართლის გამორკვევა. ჩემს წინ დევს ხუთი ცალი გაზეთი, რომელშიც მოყვანილია ამ ვაჟბატონების „წერილები.“ ეს წერილები უმთავრესად შემეხება მე. რატომ მე და არა სხვა ვინმეს? ცხადია იმიტომ რომ მე ჩემდა საბედნიეროდ არ გახლავარ „სიმართლის მოყვარე“ ს. დემოკრატი. თორემ მე რომ ს. დემოკრატი ვიყო, ცხადია სულ სხვა შინაარსის იქნებოდა ეს წერილები. ეს იქიდან სჩანს, რომ იგივე უგულავა ჩემს ამ საქმეში ჩარევამდის გაზეთ „სოც.-დემოკრატის“ 381 № ში თვით აღიარებდა რომ შტატის შემამცირებელ კომისიამ დიდი შეცდომები ჩაიდინა, კატეგორიულად მოითხოვდა დაუყონებლივ გამოსწორებას და ჰკიცხავდა ზემოთ ნახსენებ კომისიას. მაგრამ როცა ილარიონ ჟღენტი ჩაერია ამ საქმეში, და უმთავრესად იმიტომ რომ ი. ჟღენტი ეროვნულ დემოკრატია, საჭირო იყო ამ საკითხზე სხვა ჰანგზე ამღერება, საჭირო გახდა სიმართლის დაფარვა და რასაც, და ვისაც წინად გმობდა, იმის გამართლება და გამოქომაგება. და აი ბ. უგულავაც ათავსებს გაზეთ „სოც.-დემოკრატის 386 № ში სულ სხვა საწინააღმდეგო წერილს. ეს წერილი არ შეიცავს ლანძღვა—გინების მეტს არაფერს. თავს უკმაყოფილოდ გრძნობს, რომ ჟღენტმა მას არ მისცა ლაპარაკის ნება კრებაზე, რაიც ყოველივე სიმართლეს მოკლებულია და რასაც ამოწმებს მისივე პარტიული ამხანაგი შ. თენიშვილი გაზეთ „საქართველოს“ 164 №-ში. ლ. უგულავას წერილს მოყვა წერილები რკინის გზის ცენტრალურ ორგანოს „СВОБОДНЫЙ ПУТЬ“-ისა და „თავისუფალ გზის“ 4 №№-ში. ამ ორ უკანასკნელ გაზეთში 4 წერილია მოთავსებული ჩემს შესახებ. უკვირთ და გამწყრალან იმაზე, რომ ნაც. დემოკრატებმა თავს იდვა უსამართლოდ დასჯილების დაცვა და არა სოციალისტებმა. ოთხივე წერილი დაუსაბუთებელია. წერილებში მოყვანილია ისეთი „ფაქტები“ რომელსაც არასოდეს არ ქონია ადგილი. მე თურმე იმიტომ მიმიღია მონაწილეობა ამ საქმეში, რომ მამა ჩემიც მოჰყვა ამ დათხოვილთა სიაში. ვარწმუნებ ყველას, მე რომ ამ მიზეზით მიმეღო ჩემს თავზე ეს საქმე, მაშინ პირველად მამაჩემზე ვეცდებოდი. და ყველამ იცის, რომ მამაჩემზედ მე არსად ენა არ დამიძრავს. ამავე წერილებს მოჰყვა გაზეთ „სოციალ დემოკრატი“-ს 395 №-ში მოთავსებული ა. დოლონძის წერილი, ისეთივე უსაბუთო და უშინაარსო, როგორც სხვა ყველანი. რომ ეს წერილები ყველა ყალბია და რომ მე მართალი ვარ, ეს უკვე მტკიცდება და სულ მოკლე ხანში დავრწმუნდებით ყველანი, თუ ვინ ყოფილა მართალი: ილარიონ ჟღენტი და ეროვნულ დემოკრატები თუ ცენტრალური კომიტეტი და უგულავა დოლონძე და ძმანი მათნი. ისე კი მობრძანდით ბატონნო „სიმართლის მოყვარენო“ დღეს კრებაზე და ვნახოთ რით გაიმართლებთ თავს, და რაში გაამტყუნებთ ილარიონ ჟღენტს. მანამდის კი თქვენი სიტყვა ქარია და სხვა არაფერი. თუ ამით არ დაკმაყოფილდებით, კრების შემდეგ ავხდი თქვენ სახეს ნიღაბს და ყველას დავანახვებ თუ ვინცა ბრძანდებით.

ილარიონ ჟღენტი.

## რუსეთიდან ჩამოსულთა საყურადღებოთ.

რუსეთის ქალაქებიდან ახლად ჩამოსულთ უმორჩილესად ვსთხოვთ ამბების გადმოსაცემად ჩვენს რედაქციაში შემოიარონ.

მათ ვსთხოვთ აგრეთვე, რომ რუსეთიდან წამოღებული გაზეთები ჩვენს რედაქციას გადმოსცენ, რისთვისაც დიდ მადლობას შევსწირავთ.

რედაქცია.

## საზოგადოების საყურადღებოთ.

გიორგი ზდანოვიჩის სახლის გაყიდვის გამო.

ამას წინეთ, გაზეთებში „სახალხო საქმეში“ და „რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული იყო, რომ ვითომც ძმებმა კიკნაძეებმა გიორგი ზდანოვიჩის ანდერძის აღმსრულებლებს სახლი უკანვე დაუბრუნესო. ვაცხადებ რომ ეს ცნობა სიმართლეს მოკლებულია, მე ჯერეთ არავისთვის სახლი არ დამიბრუნებია და ამაზე თუ ვიფიქრე, სახლს მხოლოთ წერ. კითხ. გამავრცელებელ საზოგადოების მთავარ განყოფილებას დავუბრუნებ, რომლის ნებართვითაც ვიყიდე. მხოლოდ ეს მოხდება იმ შემთხვევაში თუ წერა-კითხვის საზოგადოებამ მიიღო ის ხარჯები რაც მე ამ სახლზე დამიხარჯავს.

და ამაზე ფიქრი შემიძლია მხოლოდ მაშინ როდესაც ჩემი უფროსი ძმა აქიმი იგივე მაგისტრი ფარმაციისა, რომელიც არის დანიშნული საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სანიტარულ ინსპექტორის თანაშემწეთ, ქუთაისში ჩამოვა.

რაც შეეხება სოციალ-ფედერალისტების ჯგუფის დადგენილებას, რომ თუ სახლი არ დაგვიბრუნა, ან სახლის რეკვიზიცია ვერ მოვახდინეთ, კიკნაძეს ტერორი დაუნიშნოთო, ასეთი მუქარა არ ეპატიება პოლიტიკურ პარტიას, რომელიც სახელმწიფოს და რესპუბლიკის მოქალაქეთა ინტერესებს იცავს.

უნდა მოვახსენო ამ პარტიას, რომ ასეთი მუქარით ვერავის შეაშინებენ. ჯერჯერობით მგონებ კერძო საკუთრების წართმევა ძალაში არ შედის და თუ სოციალიზმი დამყარდება, ისიც ვიცი რომ ამ სოციალიზმს ჩემი სახლიდან ვერ დაიწყებენ.

პატივისცემით ილიკო კიკნაძე.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.

## მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

1918 წ. 10 მარიამობისთვიდან

საათები ნაჩვენებია ადგილობრივი დროით

**ქ. ქუთაისს მოდის.**

თბილისიდან.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პირდაპირი № | 9 | დილის | 5 საათ. | 30 წ. |
| საფოსტო — | 3 | დღის | 8 — | 30 — |
| სამგზავრო — | 23 | საღამოს | 8 — | 10 — |

**ფოთ-ბათომიდან.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სამგზავრო № | 24 | დღის | 2 საათ. | 20 წ. |
| საფოსტო — | 3 | ღამის | 10 — | 18 — |

**ტყიბულიდან.**

საფოსტო № 3 დილის 8 საათ. და 15 წ.

**ქუთაისიდან გადის.**

თფილისისაკენ.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პირდაპირი № | 10 | საღამოს | 8 საათ. | 25 წ. |
| სამგზავრო — | 24 | ღამის | 12 — | 40 — |
| საფოსტო | 4 | დილის | 8 — | 45 — |

**ფოთ-ბათუმისკენ.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საფოსტო № | 3 | დილის | 7 საათ. | 10 წ. |
| სამგზავრო — | 23 | საღამოს | 6 — | 40 — |

**ტყიბულისკენ.**

საფოსტო № 4 დღის 4 საათ. — —

სწრაფმბეჭდავი სტამბა „[illegible]“ [illegible] სახლი, ქუთაისში.